საქართველო

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება

N 47 346
11/03/2021

346-47-4-202103111939

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირობებიან და უპირობო ელექტრონულ აუქციონზე პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის და „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, 118-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დაგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. პირობებიან და უპირობო ელექტრონულ აუქციონზე განხორციელდეს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დანართი N1 და დანართი N2-ში მითითებული უძრავი ქონების პრივატიზება.
2. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურმა უზრუნველყოს ელექტრონულ აუქციონზე უძრავი ქონების პრივატიზება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.
4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა N11) ბრძანების გამოქვეყნებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შევიდეს მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს.

თემურ ჩუბინიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება

N	ობიექტის დასახელება	მისამართი	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი მ²	შენობა-ნაგებობის ფართობი მ²	ღირებულება (ლარი)	პირობა
1	ქ. ტყიბული, სოფელი მოწამეთა, მიწის ნაკვეთი.	ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. მოწამეთა,	39.07.33.267	1716		4250	უპირობო
2	ქ. ტყიბული, რუსთაველის ქ. N6 მიწის ნაკვეთი.	ქ. ტყიბული, რუსთაველის ქ. N6	39.01.23.077	33		1600	ტერიტორიის იერსახის მოწესრიგება 3 თვის განმავლობაში
3	ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ კურსებში, 51-ე ქუჩა N6-ში მდებარე(სოფელი გელათი) ყოფილი კლუბის შენობა, დანგრეული	ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელი კურსები, 51-ე ქუჩა N6	39.07.29.024	300	0	15000	უპირობო
4	ტყიბულის მუნიციპალიტეტის კურსების თემში (სოფელ გელათის ყოფილი საყოფაცხოვრებოს შენობა) მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობით	ტყიბულის მუნიციპალიტეტის კურსების თემი, (გელათის დასახლება)	39.07.29.001	2765	1166,36	63000	შენობისა და ტერიტორიის მოწესრიგება 4 წლის განმავლობაში, ასევე შენობის ფუნქციური დატვირთვა
5	ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალდაბაში მდებარე ყოფილი კლუბის შენობა (ნანგრევი)	ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალდაბა	39.04.22.072	274	143	2050	უპირობო
6	სოფელ მუხურის ყოფილი კლუბი შენობა	ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. მუხურა	39.02.25.149	4140	381 მ² და 630 მ²	8500	შენობის დემონტაჟი და ტერიტორიის გასუფთავება 2 წლის განმავლობაში
7	ტყიბულის მუნიციპალიტეტი. საწირის თემის სოფ. მანჭიორში მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. მანჭიორი	39.03.35.001	102	112.4	15000	შენობის დემონტაჟი ან აღდგენა 1 წლის განმავლობაში
8	ქ. ტყიბული, ყოფილი ხორცკომბინატის სასაკლაო შენობის გარეშე (ფუნდამენტით)	ქ. ტყიბული, ლესელიძის ქ.	39.01.30.024	599		2000	უპირობო
9	ქ. ტყიბულში ჯავახიშვილის ქუჩაზე N16 -ის მიმდებარედ თავისუფალი მიწის ნაკვეთი	ქ. ტყიბული ჯავახიშვილის ქუჩა N16	39.01.22.028	2602		9000	უპირობო
10	ქ.ტყიბული, ტყვარჩელის ქ.N11-ის მიმდებარედ	ქ.ტყიბული, ტყვარჩელის ქ.N11	39.01.30.075	4275		28677	უპირობო
11	ქ.ტყიბული.ბარათაშვილის ქუჩის მიმდებარედ (გრესის მიმდებარედ)	ქ.ტყიბული, ბარათაშვილის ქუჩა(გრესის მიმდებარედ)	39.01.29.053	2530		9138	უპირობო

იჯარა (იჯარის ხელშეკრულების ვადა 2 წელი)

ობიექტის დასახელება	მისამართი	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი მ²	შენობა-ნაგებობის ფართობი მ²	წლიური ღირებულება (ლარი)	პირობა
მოწამეთას მონასტერთან არსებული ვიზიტორთა ცენტრი, შენობები და საპარკინგე ადგილები	ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. მოწამეთა,	39.07.33.133 39.07.32.358	1700 მ², 328 მ², 63 მ².	328 მ², 63 მ².	8000	○ ვიზიტორთა ცენტრში დამთვალიერებლებს უნდა ქონდეთ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბუნებრივ და კულტურულ ღირსშესანიშნაობებზე. ○ შესაძლებელი უნდა იყოს სასურველ მარშუტებზე ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა. ○ ცენტრის თანამშრომლები ვიზიტორებს უნდა დაეხმარონ ან/და კონსულტაცია გაუწიონ ტურების დაგეგმვაში, სასტუმროების დაჯავშნაში, ავტომანქანების დაქირავებაში. ○ ვიზიტორთა სურვილის შემთხვევაში, მოიჯარეს უფლება აქვს მოახდინოს აღჭურვილობის გაქირავება (კარვები, დურბინდი, სამთო ველოსიპედი და სხვა). ○ მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს და მოაწესრიგოს სატრანსპორტო საშუალებების პარკირება საამისოდ გამოყოფილ ადგილებზე. ○ მოიჯარეს უფლება აქვს მიიღოს პარკირებისათვის განკუთვნილი საფასური. ○ <u>პირობების სრულად გაცნობა შესაძლებელი იქნება აუქციონზე თანდართული ხელშეკრულების პროექტის საშუალებით.</u>

დემონტაჟი

ობიექტის დასახელება	მისამართი	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი მ²	შენობა-ნაგებობის ფართობი მ²	წლიური ღირებულება (ლარი)	პირობა
ტყიბულში კარლო ლომაძის მოედანი. N3-ში მდებარე საქვაბეს შენობა	ტყიბულში კარლო ლომაძის მოედანი. N3	39.01.24.003			0	შენობის დემონტაჟი და ტერიტორიის გასუფთავება